№ 22. 4 ივნისს 1871 4 ივნისს № 22.

გაზეთის ფასი

	თფილისში და გარეშე ადგილებში: გაგზავნით	გაუგზავნელათ:
ერთისს წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევარის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2
ერთის თვისა	— 1 —	— — — „ — 75 კ.
ცალკე ერთის ნომრისა		— — — „ — 15 კ.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით —ასოზე $^1/_2$ კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში; მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ამატუნის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

ქუთაისში — ბ. კალანდარაშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ლ. ლოლუასთან ბაგარინის ქუჩაზე ხოჯაშვილის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.

თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეექვსე.

შინაარსი:

რედაქციის განცხადება.—მომხმარებელი საზოგადოებები სასარგებლონი არიან, თუ არა?—საქართველო: სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება.—უცხო ქვეყნები:—საფრანგეთი,—ინგლისი,—გერმანია,— შვეიცარია.—ბელგია.—ამ კვირის ტელეგრამმები.—რუსეთი: წვრილი ამბები.—დატუსაღებული ნათლია (გაგრძელება).—ნარევი.—განცხადება.—

ნახევარი წლის ხელის-მოწერა „დროებაზე“

მიიღება თფილისში – „დროების“ რედაქციის კანტორაში (ხანის ქუჩაზე, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში) და

ქუთაისში – ბერასიმე ქალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში).

ხელ-მოსაწერი ფასი

	მან.	კაპ.
ნახევარ წლისა, გაუგზავნელათ	— 3	და 50
თფილისში და სხვაგან გაგზავნით	— 4	მან.

ვინც მთელი წლის „ქრებულისა“ და ნახევარი წლის (1 ივლისიდამ) „დროების“ დაბარებას მოინდომებს, იმან ექვსი მან. უნდა გამოგზავნოს „დროებისა“ ან „ქრებულის“ რედაქციის კანტორაში.

რედაქცია უმოწრჩილესად სთხოვს შემოწიტანონ გაზეთის ფული იმათ, როველთაც ჯერაც არ შემოუტანიათ.

მომხმარებელი საზოგადოებები ხალხისთვის სასარგებლონი არიან, თუ არა?

ამ წლის „დროების“ მეოთხე ნომერში რამდენიმე სიტყვა იყო ნათქვამი „მომხმარებელ და მწარმოებელ საზოგადოებებზე“, რომლიდგანაც მკითხველი ცოტათი მაინც გაიგებდა —თუ როგორ სდგებიან ან რა დანიშნულება აქვთ ამ ორ გვარ საზოგადოებებსა. იმისთვის რომ მკითხველს არ დასჭირდეს იმ სტატიასთან ხელ-მეორეთ დაბრუნება, ორი სიტყვით გავიმეორებთ აქ იმ სტატიაში მომხმარებელ საზოგადოებაზე ნათქვამს და მერე, ჩვენი დაპირების ასასრულებლათ, ვიტყვით აგრეთვე ორიოდე სიტყვას იმაზე—მოაქვთ თუ არა სარგებლობა ხალხისთვის ამ გვარ საზოგადოებებს?

იმ ქვეყნებში, სადაც ხალხი გრძნობს—რა სარგებლობა მოაქვს ყოველს საქმეში ასოციაციას, ან რამდენისამე პირის შეერთებას და ერთად საქმის დაჭერას, სხვა საზოგადო საქმეების გაკეთებას გარდა, ერთმანეთში დაახლოებული კაცები იკრიბებიან ერთად, არდგენენ საზოგადოებას, პოულობენ საშუალობას და ხსნიან საზოგადო დუქანს, რომელსაც ჰქვია სახელათ „მომხმარებლების დუქანი“ და რომელშიაც ამ საზოგადოების წევრები უკეთესსაც და უფრო იაფ საქონელსაც ჰყიდულობენ. ეს საქონელის სიაფე და უკეთესობა წარმოსდგება იმისაგან, რომ საზოგადოების საქმეების გამგებლები პირ და პირ მწარმოებლისაგან ჰყიდულობენ ყოველ საქონელს და ამას გარდა ეაჭრებსავით არა სცდილობენ—რაც შეიძლება მომეტებული სარგებლობა აიღონ თავიანთისავე წევრებისაგან. წელიწადში ერთხელ ან ორჯელ საზოგადოების გამგებლები გაწმენდენ დუქნის ანგარიშს და რაც იმის ვაჭრობიდამ მოგება რჩება, საზოგადოების წევრებს ურიგდება. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ის სარგებელი, რომელიც უბრალო ვაჭრებს უნდა აეღოთ, ახლა, ამ საკუთარი დუქნის წყალობით, ისევ საზოგადოების წევრებს რჩება.

პირველი შეხედვით, ამნაირი საზოგადოებების გამართვა ძალიან სასარგებლო საქმე უნდა იყოს; პირველი შეხედვით, კაცი იტყვის რასაკვირველია, კარგი საქმეა, როდესაც განსაკუთრებით ღარიბ ხალხს იქნება ღონის-ძიება ყოველი ცხოვრებაში საჭირო ნივთის იაფათ მოპოვნისაო. მაგრამ, იმედი გვაქვს, ამ სტატიაში დავანახვოთ მკითხველს, რომ ყოველი ამ გვარი საზოგადოებებიდამ ხალხისათვის მართლა იმდენი სარგებლობა არ გამოდის, რამდენსაც ჰფიქრობენ.

საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაში ნათლათ დამტკიცებულ ჭეშმარიტებათ ითვლება ის აზრი, რომ მუშა-კაცის დღიური ქირა არ მატულობს და არ კლებულობს. ქაცობრიობის ცხოვრება ამნაირათაა ახლა გამართული, რომ მუშა-ხალხს საზოგადოთ თითქის სწორეთ იმდენი დღიური ქირა ეძლევა თავის შრომისთვის, რამდენიც იმის აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა. ხანდისხან მოხდება, რომ მუშას ამ თავის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებელ ქირაზე ცოტა მომატებული ეძლევა; მაგრამ ამაზე უფრო ხშირათ ისეთი შემთხვევები მოხდება, რომ ესევე მუშა თავის შრომით თითქმის ვერ აკმაყოფილებს ყველა თავის ბუნებით მოთხოვნილებას, როგორც მაგალითად, შიმშილს, წყურვილს, სიცივისაგან და ავდრისაგან სადმე თავის შეფარვას და სხ. მაგრამ საზოგადო კანონი მაინც ისევ რჩება, რომელიც ზევით მოვიყვანეთ.

იქნება თქვენ მითხრათ, რომ ამ ოცი წლის წინეთ, მაგალითად ჩვენში, ათი კვერცხი კაპეიკათ ღირდა და ახლა კი თითო კვერცხს კაპეიკზე ნაკლებ ვერ იშოვნიო. იქნება ისიც გამახსენოთ, რომ ჩვენ მამა-პაპებს თითო თუმნათ უყიდნიათ თითო მოსახლე კაცი, და ის მამული, რომელიც ახლა ათას თუმან ნაკლებ არ იყიდება, იმათ რამდენიმე თუმნათ შეუძენიათო. მაგრამ ყველა ეს მაგალითები ადრინდელ სიაფესა და ახლანდელ სიძვირეს არ მოასწავებენ. ეს მხოლოთ იმას მოასწავებს, რომ ძველათ ფულები ძვირი ყოფილა: რამოდენათაც მაშინ ერთი თუმანი ღირდა, იმდენათ ახლა ათი თუმანი ღირს; მაშინ რომ ერთი თუმნით იცხოვრებდა კაცი, ახლა ათ თუმნათ ვერ იცხოვრებს ისე: მაშინ ათი თუმნის პატრონს ძალიან შეძლებულ კაცს ეძახოდნენ და ახლა ასი თუმნის პატრონს შეძლებულ კაცების რიცხვში არავინ არ ჩათვლის.

ახლა ვნახოთ—რა კავშირი და დამოკიდებულება აქვს ამ დღიურ ქირის შეუცვლელობის კანონს მომხმარებელ საზოგადოებებზედ.

ვსთქვათ რომელსამე ქალაქში „მომხმარებლების საზოგადოება“ დაწესეს მუშებმა და იმის წყალობით მუშებს გაუიაფდათ ცხოვრება: ოცი მანეთის მაგივრათ, რომელიც მუშას ეძლეოდა თავის შრომის ფასად და რომელიც იმას, ვსთქვათ, თავის თავისა და თავის ცოლ-შვილის დასარჩენათ უნდებოდა, ახლა, ყველაფერი რომ გაიაფდა, მხოლოთ თხუთმეტი მანეთი სჭირდება. ამ შემთხვევაში ხუთი მანეთი მოემატება ამ მუშას, და იმით შეუძლია გააუმჯობესოს თავის თავის ცხოვრება. მაგრამ ახლავე დაინახავთ, რომ ეს დღიური ქირის მომატება და ამასთანავე მუშის ცხოვრების გაუმჯობესობა მხოლოთ დროებითია.

ცხადია, რომ მუშა-ხალხი ყოველთვის იმ ქვეყანაში მიდის სამუშაოთ, სადაც იმისი შრომა უკეთ იქნება დასაჩუქრებული. ე. ი. სადაც იმას მომეტებული ქირის აღება და უკეთ ცხოვრება შეეძლება. მაშა სადმე ზემოხსენებულ ქალაქში, სადაც „მომხმარებელი საზოგადოების“ წყალობით ცხოვრება გაადვილებიათ, სხვა ქვეყნებიდამაც მოვლენ მუშები და დაიწყებენ სამუშაოს ძებნას. ამით, რასაკვირველია, ისარგებლებენ ფაბრიკანტები, მამულის პატრონები და საზოგადოთ ისეთი პირები, რომელთაც მუშის შრომა სჭირდებათ: გაჩნდება ის სოციალური სენი, რომელსაც „კონკურენციას“ ეძახიან, ე. ი. შეიქნება ქიშპობა: ფაბრიკანტი ან მამულის პატრონი მხოლოთ იმ მუშებს დაიქირავებს, რომელნიც დღეში, თუთხმეტ შაურის მაგივრათ, ათ შაურათ იმუშავებენ. მუშებმა, რასაკვირველია, თუ სულ ულუკმა-პუროთ არ უნდათ დარჩენა, უთუოთ უნდა დაუკლონ ქირას. ამ გვარათ მუშებს თვეში მაინც თუთხმეტი მანეთი მოუვათ და ეს ქირა ყოფნის იმათ აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. მაშა სადმე ამ შემთხვევაში „მომხმარებლების დუქნის საშუალობით, მუშა-ხალხს მხოლოთ დროებით შეუმსუბუქთა თავის მდგომარეობა.

ამას გარდა სტატისტიკაში არის კიდევ ერთი კანონი, რომელიც გვიმტკიცებს, რომ დღიური ქირის მომატება და მოკლება დიდი ხნობით შეუძლებელი საქმეა და ჩვენ აქედამაც დავრწმუნდებით, რომ „მომხმარებელ საზოგადოებებს“ მაგდენი სარგებლობა არ მოაქვთ მუშა—ხალხისათვის, რომელსაც ცხოვრების გაუმჯობესობა ყველაზე უფრო სჭირია.

სტატისტიკამ შენიშნა (და ეს გარემოება ფიზიოლოგიითაც აიხსნება), რომ ყოველთვის, როდესაც რომელსამე ქვეყანაში კარგი მოსავლიანი წელიწადია, ე. ი. როდესაც ხალხი არ გრძნობს ნაკლულევანებას, ამ ქვეყანაში მაშინ მშობიერობა ხშირდება; შედარებით გამოანგარიშებულია, რომ კარგ წელიწადებში უფრო მომეტებული კაცი იბადება, ვიდრემ ცუდს და მოუსავლიან წელიწადს. აქედამ ყოველ კაცს ცხადათ შეუძლია გამოიყვანოს ის დასკვნა, რომ, რადგანაც ბევრი იბადება, ხალხი მრავლდება და მაშასადამე მუშა-ხალხიც მატულობს. მუშა-ხალხის მომატებისაგან კი კონკურენცია და დღიური შრომის ქირის დაკლება წარმოსდგება.

ამ ნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ, „მომხმარებლების დუქნების“ წყალობით, ხორაგისა და სხვა საჭირო ნივთების გაიაფებას სრულიად არ მოსდევს თან მუშა-ხალხის კეთილდღეობა, რადგან იმათი დღიური ქირა საჭირო ნივთების გაიაფებისა და გაძვირების თანავე ჰკლებულობს და მატულობს. ვისაც ამ საინტერესო საგნის უფრო ერცლათ და ნათლათ გაცნობა ჰსურს, იმას ჩვენ ურჩევთ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციოს იმ გაცხარებულ პოლემიკას, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ ბერმანიაში იყო შულჩე-დელიჩსა და ლასალს შუა. მარტო ლასალის თხზულებების პირველი წიგნიდამაც, (რომელიც შარშან გამოვიდა პეტერბურღში), მკითხველი ძალიან კარგათ და ყოველი მხრით გაიცნობს ამ საგანს და დარწმუნდება მუშებისთვის მომხმარებელი საზოგადოებების უვარგისობაზე.

მაშ რა საშუალებით, როგორი საზოგადოებებით და რა ნაირი ღონის-ძიებით შეიძლება მუშა-ხალხის მდგომარეობის გაკეთება? ერთი უპირველესთაგანი ამ გვარი საშუალებებისა „მწარმოებელი საზოგადოებები ან ასოციაციები არიან, რომელზედაც იმავე (მეოთხე) „დროების“ ნომერში იყო ნათქვამი რამდენიმე ხიტყვა და რომელიც შემდეგშიაც არაერთხელ იქნება მკითხველთან ჩვენი საუბრის საგნათ.

სახალხო სიმღერებისა და ზღაპრების შეკრება

ზაფხული დადგა და აი ჩვენი ქალაქების საზოგადოება სოფლათ გადის. რა ბევრს შეეძლო სიამოვნებასთან მრავალი სარგებლობაც შეეძინა! ვისაც რამ უსწავლია და გონება უჭრის, სოფელში რამდენს ავსა და კარგს თვალს დააკვირვებდა, რამდენს ახალს შეიტყობდა და ნახავდა, ხალხის ცხოვრებას გაიცნობდა! ოღონც კი ცოტაოდე გარჯა შეეძლო!.

ჩვენ ერთ ადვილათ გასაკეთებელ საქმეზე ვილაპარაკებთ: სახალხო სიმღერების და ზღაპრების შეკრებაზე. ამაზე ადვილი საქმე რა იქნება? ოღონც კაცმა წერა-კითხვა იცოდეს, სხვა ხომ არა დასჭირდებაარა? მაგრამ ამ ადვილი საქმის უქონლობით არც ისტორია დაიწერება, არც გრამმატიკა შესდგება, არც ხალხის ჭკუისა და გონების, გრძნობისა და თვითცნობის ვითარება გვეცოდინება. ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სიხარული, იმედი—ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული. ისტორიის, ნამდვილი ისტორიის დამწერი მარტო დამპალ ადამის-ჟნის წიგნებს კი არ გამოუდგება; უეჭველათ დიდის მეცადინეობით ხალხის ცოცხალ სიტყვასაც, ესე იგი სიმღერებს და ზღაპრებსაც, გადიკითხავს; გრამმატიკის შემდგენელმა ძალიან ბევრითათ უნდა იცოდეს ხალხის ზღაპრების და სიმღერების ენა; ენის მასწავლებელს არ შეუძლიან უიმათოთ გაუმართოს თავის მოწაფეებს ენა და არ შეუძლია ჩაუნერ-

გოს ნამდვილი, ინსტინქტათ გადაქცეული სიყვარული, ღვიძლი სიყვარული, და არა ზედ მიკერებული. ᲔᲠᲗᲘᲡ სიტყვით, სწაველაში და სწაველებაში დიდი მასალაა ეს ხალხის ზღაპრები, სიმღერები, შაირები, არაკები, ზღაპრები, გამოცანაები, შელოცვაები, ანდაზები. ᲐᲥ ადგილი არ არის ამათ მნიშვნელობაზე ვრცლათ ვილაპარაკოთ. მხოლოდ ეს შეგვიძლია დაუმატოთ ნათქვამსა, რომ ყველა განათლებულ ხალხებში დიდის მეცადინეობით შეუკრეფიათ და უბეჭდიათ ხალხის სიტყვიერების ნაწარმოები. ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ წარჩინებულ და სახელ-განთქმულ მსწაველულებს სოფელ სოფელ უვლიათ, უწერიათ და შემდეგ დაუბეჭდიათ. რუსეთშიაც აგერ 1815 წლიდგან ჰკრეფენ და ბეჭდენ მრავალ ტომებს. ᲐᲡᲔ დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხის სიტყვასა.

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ჯერ აქამდინ არა ყოფილარა დაბეჭდილი ოთხ ლექსს გარდა: „ᲐᲚᲓᲔᲒ გმირთ გმირო“ (ᲨᲘᲠᲐᲚᲝᲕᲘᲡ რუსულ—ქართულ ლექსიკონში), „ᲐᲒᲠᲔ იარე მცხეთამდინ“ (ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲡᲙᲠᲔᲑᲨᲘ, ᲖᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ კარში), „ᲓᲔᲓᲐᲑᲔᲠᲘ და ცხოველები“ და ლექსი ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡᲐ. ᲓᲐ ერთხელ მეტათ, ისიც გაკვრით, (ᲙᲐᲪᲘᲐ, ადამიანის გარკვევაში, 1870 წ. ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ) ჩვენს ლატერატურაში სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების მნიშვნელობაზე არა ყოფილარა. ᲗᲕᲘთ ლიტერატურისთვის და ლიტერატორებისთვისაც, მეტადრე ჩვენს დროში, ამ ენის არეულ-დარეულობის ჟამში, ეს საქმე დიდათ ყურადღების მიქცევის ღირსია.

როგორც სხვა ქვეყნებში აგროებენ სიმღერებსა და ზღაპრებს ისე მოგროება ჩვენთვის ძნელი იქნება. ᲘᲥ ერთი კაცი იმდენ სოფელს მოივლის და ერთ-ორ წელიწადში იმდენს სიმღერებს დასწერს, რაც აქ ათ წელიწადს გაუჭირდება კაცსა. მიზეზები ბევრია, მაგალითად ისა, რომ კაცი ამისთანა შრომის შემდეგ დაბეჭდილის წიგნისაგან შრომის ფასს არაფრისთანას არ უნდა მოელოდეს. მაგრამ ჩვენში რომ რამდენამე მოიწადინოს, იქაურ ერთი კაცის შრომას ბევრათ გადაამეტებს.

ᲐᲒᲔᲠ რამდენიმე წელიწადია ვაგროებ სახალხო ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზებს და სხვა. რამდენჯერმე დავაპირე დაბეჭდვა, მაგრამ კიდევ დამატება, შევსება ვამჯობინე და არცა ვნანობ; რამდენმამე ყმაწვილმა მოსწაველებმაც მიიღეს მონაწილეობა ჩემს შრომაში და მესამედზე მეტი იმათ ეკუთვნით. ᲐᲛ ჟამათ ითქმის 300 ნომერი სახალხო სიმღერები იქნება, 150 ანდაზა (ᲩᲣᲑᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲠᲘᲡᲢᲝᲛᲐᲢᲘᲐᲨᲘ დაბეჭდილს გარდა), 60 ზღაპარი, 30 გამოცანა და ათიოდე შელოცვა. სულ ᲥᲐᲠᲗᲚ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ, ᲗᲣᲨ-ᲨᲐᲕ-ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲘᲡᲐ, ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲐ და მოხევისაა. ᲝᲠᲘ-სამი ᲐᲭᲐᲠᲣᲚᲘᲐ, და რაჭული. ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ, მეგრული და სვანური სრულებით არა გვაქვს. რაც არის, რომ დაბეჭდილიყო, კარგა საკმაოთ დიდი წიგნი გამოვიდოდა. მაგრამ რაკი ჩვენში წიგნის ბეჭდვა ძალიან ძნელდება, ამისათვის ის ვამჯობინე, რომ ისევ, შეძლების დაგვარათ, შევსებით დაიბეჭდოს.

ᲔᲡ შევსების სურვილია მიზეზი ამ სტატიის დაწერასა: ვთხოვ, ვისაც შეუძლია, ამ შრომაში მონაწილეობა მიიღოს: ესე იგი სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვანი დასწეროს და გამომიგზავნოს. ᲐᲛᲘᲡ დაბეჭდვას მე ვიკისრებ. ᲔᲡ შეუძლიათ სხვა და სხვა სასწაველებლის ქართველ მოსწაველთ, მეტადრე მაღალ კლასელებს, რადგანც ზაფხულობით სუყველანი თითქმის სოფლებში სცხოვრობენ და თავისუფალი დროცა აქვთ. ᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ თვით მოსწაველეთათვის სასარგებლო იქნება, სხვათაშორის ახლოთ გაიცნობენ ნამდვილ ქართული ენის კილოსა.

როგორ უნდა დაიწერებოდეს ერის სიტყვიერების ნაღვაწეი და სახელდობრ რა უნდა იწერებოდეს?

ᲣᲜᲓᲐ იწერებოდეს საზოგადოთ რასაც ხალხი, ესე იგი გლეხი ხალხი, სოფლის ხალხი მღერის. ᲐᲥ ჩვენ ერთი შენიშვნა უნდა მოვიყვანოთ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ურევენ სახალხო (გლეხის, სოფლურ) სიმღერებს და ქალაქურ სიმღერებსა. ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ჩვენი სიმღერები ან ეისგანმე მწერლისაგან არის გამოთქმული, და ან ისევ ქალაქის ამქრების მუშა ხელოსნებშია შემდგარი. ᲐᲘ როგორც მაგალითად: ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲫᲘᲡ, ᲑᲔᲡᲘᲙᲘᲡ (ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ), ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ (ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ), ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲨᲔᲠᲨᲐᲜᲒᲝᲕᲘᲡ და ჩვენ უკანასკნელ დროს ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲠᲝᲕᲘᲡ ლექსები, ან კიდევ ის ლექსები როგორც ᲥᲐᲚᲝ ᲮᲐᲑᲐᲠᲓᲘᲐᲜᲝ,—ესეები სულ ქალაქებში არის გამოთქმული და ქალაქებში მღერიან. სიმღერის ხმა თათრული (ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘ) სიმღერების ხმაა და ევროპიულ მუზიკაზე გადაღების დროს ძალიან უშნოთ გამოდის. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ სოფლურ სიმღერას სულ სხვა კილო აქვს, ევროპიულ მუზიკაზე მშვენიერათ, ჰარმონიულათ გამოდის და ყველა სიმღერის ხმისაგან ნოტების დამწერს მშვენიერი trio შეეძლება დასწეროს იმ დროს, როდესაც ქალაქურის სიმღერისაგან ერთ ხმაზე მეტი არ შეიძლება. ᲮᲛᲐᲖᲔ დიდი განსხვავება თვით ლექსებში და სიმღერებშია. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ვამბობ, რომ სახალხო, საეროს ლექსებს, ზღაპრებს, სიმღერებს იმას ეძახიან, რასაც სოფლის გლეხი-კაცი მღერის და ამბობს. ᲓᲐᲡᲐᲬᲔᲠᲐᲗ ჩვენთვის საჭიროა: 1) ლექსები რომელსაც ან მღერის რამ მუშაობის ან ლხინის დროს, ან ისე მოთქმით იტყვის; 2) ზღაპრები, გმირების ამბები, არაკები; 3) ანდაზები, 4) შაირები, 5) შელოცვა რამ ავათმყოფობისა: 6) ლოცვა კერპობისა ანუ ქრისტიანობის დროინდელი, რომელიც ხალხს თავისებურათ გადაუკეთებია (მაგალითად გვალვაში „ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲡ“ რომ დაიელიან ან კიდევ ᲗᲣᲨᲔᲑᲨᲘ რომ ლოცვა იციან სამლთოს შეწირვაზე) და 7) გამოცანაები.

რა სახით უნდა დაიწეროს ესეები? ᲑᲚᲔᲮᲙᲐᲪᲡ ათქმევინებთ და თქვენა სწერთ სრულათ, ისე შეუცველელათ, როგორც ᲒᲚᲔᲮᲘ ამბობს: არც ერთი ასო არ უნდა შეიცვალოს. ᲖᲚᲐ�პᲠᲘᲡ წერა ამ გვარათ ცოტა ძნელია და შეიძლება მთლათ გაგონების შემდეგ თქვენ დასწეროთ, ოღონც კი დაიცვათ ხალხის ენა, საკუთარი სახელები და რაც შიგა და შიგ ლექსებია. ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ კი თითო-თითო სტრიქონის თქმით უნდა იწერებოდეს. ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲐᲚᲝᲗ სახელდობრ ყველა რაც უნდა:

1) ᲔᲠᲗᲘ და იგივე სიმღერა, ლექსი, ზღაპარი რამდენიც უნდა შეხვდეს კაცს, უნდა დასწეროს, ამიტომ რომ ბევრჯელ ზოგს თითო—ოროლა სიტყვა და ჰაზრი ან აკლია ან სხვა არის. მაგალითად, ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ლექსი ათიოდე მაქვს. ᲐᲛ ლექსებში ერთი ფრიად შესანიშნავი ადგილი არის, რომელიც მარტო ორში იპოება: ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲡ გზაზე სიძე-სიდედრს ნაზუქით სავსე ხურჯინსა დაცხენს ართმევს; დედაკაცს ეუბნება ᲐᲠᲡᲔᲜᲐ, ნუ დამწყეველო, ისიც ლოცავს:

სადაც წაბძანდ-წამობძანდე, ᲐᲠᲡᲔᲜᲐ, გაგიმარჯუდესა!
მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ; ღმერთი როდი წაგაგდენსა!

ᲔᲠᲗᲘᲡ ლექსს რომ დავჯერებოდით, ეს ადგილი იქნება არ გვენახა და რამდენი უფრო ამაზე დიდი ლექსებია შიგა და შიგ გაშვებული.

2) ᲧᲕᲔᲚᲐ ასო ისე უნდა იწერებოდეს, როგორც გლეხი გამოსთქვამს, ეს ძალიან საჭიროა იქნება გრამატიკისათვის და მეტადრე ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ მსწაველულ ფილოლოგებისთვის. ᲘᲡ ასოები, რომელსაც ეხლა წერაში აღარა ეხმარობთ, უეჭველათ ლექსების წერის დროს უნდა იყოს ხმარებული, რადგან ის ხმები არის: Შ, Ც, Ძ, Ჯ.

Შ არც Ვ არის, არც უ; არამედ შუათანა ხმაა, რუსულ й გავს; Ჯ ძალიან მაგარი Ხ არის. მაგალითად: ᲐᲭᲐᲠᲣᲚ ლექსებში აუშვეს მაგიერათ არის

ᲨᲝᲣᲨᲕᲔᲡ და გამᲯᲔᲯᲕᲐᲜᲔᲡ . . . . ან კიდევ:
გᲯᲐᲠᲐ და გამᲯᲐᲠᲐ,

ᲐᲥ თითქოს რუსული ასო იყოსო გᲘᲙᲐᲠᲐ და გამᲯᲘᲙᲐᲠᲐ ანუ გᲘᲯᲐᲠᲐ და გამᲯᲘᲯᲐᲠᲐ.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲣᲚ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ლექსში:

ᲩᲐᲘᲚᲐ ᲑᲣᲠᲕᲘᲚ ᲫᲘᲠᲩᲘᲐ, ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲓᲐᲐᲜᲗᲐ ᲐᲠᲘᲐᲚᲘ;
ᲛᲐᲯᲮᲐᲓᲐ, ᲥᲕᲔᲓᲘᲗ ᲓᲐᲘᲓᲒᲐ ᲗᲘᲥᲐᲠᲗᲝᲗ ᲣᲜᲐᲒᲠᲘᲐᲜᲘ.

ᲐᲛ ლექსებში სიტყვაში ჩაილა, დაანთა საკურველი გრამმატიკული სისწორე დარჩენილა. ჩვენ ვიტყვით დასწერᲐ, ᲑᲝᲚᲝᲨᲘ Ა არის, სხვა ზმნაში კი ᲝᲚ ჩაილᲝᲚ, დაანთᲝᲚ. ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲣᲚ ლექსებში Ა რჩება. ჩაილᲝᲚ კი არ არის ჩაილᲐ, დაანთᲝᲚ კი არა დაანთᲐ. ჩვენ ვიტყვით ძირში, ისინი ამბობენ ძირჩი. ᲔᲡᲔᲜᲘ საჭიროა რომ ყველა დარჩეს.

ᲐᲛᲐᲡ გარდა საჭიროა, რომ ხმის დაყოლება (удареніе) დაცული იქნას, მეტადრე იმ ლექსებში, რომელიც ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲡ არ ეკუთვნის. ᲮᲛᲘᲡ დაყოლება ჩვენში განსხვავებულია სხვა და სხვა ადგილებში: მაგალითად ქართლელიდა კახელი სხვა რიგათ წიკითხავს ქვემოხსენებულ ლექსსა და არაგველი ასე კითხულობს: ᲮᲛᲘᲡ დასაყოლებელ ნიშნის მაგიერათ დიდ ასოებს ვიხმარებთ:

ᲕᲔᲠ ᲫᲘᲠᲘᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲜᲝ, ᲨᲐᲒᲔᲮᲜᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ
ᲛᲔᲣᲤᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲣᲯᲐᲕᲗ ᲔᲠᲗᲙᲚᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘᲡ.

3) ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ სიტყვისა, რომელიც დამწერს არ ესმის, უნდა ჰკითხოს და სხოლიო გაუკეთოს.

4) ᲐᲓᲒᲘᲚᲘ უნდა იყოს მოხსენებული: რომელ სოფელშია დაწერილი, რომელ სოფლელისაგან უსწაველია მთქმელსა, ან თუ ლექსი ბატონის კარზე უსწაველია? ᲔᲡ უკანასკნელი იმიტომ არის საჭირო, იქნება ბატონის სახლში წიგნებიდგან ესწაველოს.

5) ᲚᲔᲥᲡᲘ შეიძლება მესტვირის სიტყვით დაიწეროს, ესეც უნდა დაინიშნოს, რადგანაც განსხვავებაა მესტვირულსა და სახალხო სიმღერებში, თუმცა ბოლოს მესტვირული სიმღერებიც სახალხო ხდება. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ის ლექსი მთქმელის გამოთქმული ხომ არ არის, ან მესტვირისაგან გაუგონია თუ ისე გლეხისაგან?

6) რომელ ლექსს რა შემთხვევაში მღერიან, რა მუშაობის დროს. რომლისამე სიმღერის დროს როგორი თამაშობა იციან, ან შელოცვის დროს რას აკეთებენ.

მეგრულ, სვანურ, ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲣᲠ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ქართული თარგმანი მოუნდება. მაგრამ თუ ვერ მოხერხდა, ისეც დაუმადლებთ.

ᲘᲛᲔᲓᲘ მაქვს, რომ რამდენიმე პირი გამოჩნდეს და ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს. ᲕᲘᲜᲪ ამაზე ვრცელი ამბის შეტყობას ისურვებს, მზათა ვარ ეუპასუხო და წიგნით მალე ვაცოდინო. შეკრებილი ლექსები ჩემ სახელზე გამოგზავნონ (Петру Осиповичу Умикову, въ Тифлисъ).

3 თიბათვეს. ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲢᲐᲜᲨᲘ ᲭᲠᲘᲐᲜᲢᲔᲚᲘ ᲣᲔᲚᲘᲡ კაცს, როცა იმ ამბებს ჰკითხულობს, რომელნიც ᲞᲐᲠᲘᲭᲨᲘ მოხდარან და ამ ჟამათაც ხდებიან. ᲞᲐᲠᲘᲭᲘᲡ მეოთხედი ნაწილი გადამწვარია თურმე; ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ ᲯᲐᲠᲡ ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ათას კაცზე მეტი დაუხვრეტია ინსურგენტების მხრით; ახლაა ᲞᲐᲠᲘᲭᲨᲘ შესელის დროს რამდენი მოკლეს, რამდენი სასიკვდილოთ დაჭრეს, რამდენი დაატუსაღეს—ვინ მოსთვლის! ᲗᲕᲘთონ ხალხი განსაკუთრებით ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲨᲘ, სადაც პირველათ დაჭერილები მიჰყავდათ, საშინლათ გაბრაზებულია თურმე ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ მომხრეებზე; რამდენიმე იმათგანი გაუგლეჯია ხალხს, როდესაც ქუჩებზე მოჰყავდათ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ სალდათებს და ბევრისთვის იმდენი უცემიათ, რომ მეორე ან მესამე დღეს მომკვდარან. ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ რიცხვში, როგორც გაზეთებიდამ ეტყობულობთ, ძალიან ბევრი ქალებიც ურევიან. ᲘᲡᲘᲜᲘ ეხმარებოდნენ ინსურგენტებს, ნავთს ასხამდენ ᲞᲐᲠᲘᲭᲘᲡ სახლებს და მერე ცეცხლს უკიდებდენო. მმართებლობის მომხრე ქალები მოდიოდნენ თურმე, როცა ამ ქალებს გაატარებდენ ქუჩებში, და ქოლგით სცემდენ იმათ და თმებს გლეჯდენ და სალდათები ეროსგზით ვერ იფარავდენ. ᲓᲐᲣᲢᲧᲕᲔᲕᲔᲑᲘᲐᲗ მხოლოთ ისინი, რომელთაც თოფ-იარაღი არ ეჭირათ ხელში, და რომელთაც კი რაიმე იარაღი უნახეს, ან რომელნიც ცეცხლის წაკიდების დროს წაისწრეს, იმათ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ სალდათები იქვე ხვრეტდენ, ან ციცი იარაღით კლაევდნენ, ამისთანა ბრძანება ჰქონდათ მმართებლობისაგან მიცემული. ᲔᲠᲗᲘ სიტყვით, ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ სალდათები განუკითხავათ, თითქო ქათმებს, ხოცავდენ ინსურგენტებს და კაცი ვერ ბედავდა, რომ იმათ სასარგებლოთ ხმა ამოეღო; ერთ ინგლისელს მოენდომებია ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲨᲘ ერთი ინსურგენტის დაცვა გაბრაზებული ხალხისაგან, მაგრამ იმ წამსვე თვითონ იმას სტაცეს თურმე ხელი, ჯერ სცემეს ბლომათ და მერე ლანძღვა-გინებით წაათრიეს საპყრობილეში, იმასაც ინსურგენტების მომხრეობას აბრალებდენ. ᲐᲡᲔ რომ სულ უკანასკნელი 50,000 საფრანგეთის რესპუბლიკელი მაინც მოიკლა თურმე ამ არეულობის დროს და უმეტესი ნაწილის იმათი გვამები უპატრონოთ ყრია თურმე თუ ᲞᲐᲠᲘᲭᲘᲡ ქუჩებში და თუ სახლებში.

ᲗᲕᲘთონ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ მოთავეების სვეზე აი რას სწერენ ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ გაზეთებში: ᲓᲔᲚᲙᲚᲣᲖᲘ—მოკლე; ᲛᲘᲚᲘᲔᲠᲘ დაიჭირეს ᲚᲣᲥᲡᲐᲜᲑᲣᲠᲘᲡ ბაღში და იქვე დახვრიტეს; ᲕᲔᲠᲛᲝᲠᲔᲚᲘ მონმარტრზე დახვრიტეს; ᲤᲔᲚᲘᲥᲡ ᲠᲘᲐ დახვრიტეს და იმის გვამი ერთ სახლში გამოაფინეს ხალხის სანახავათ; ᲠᲐᲖᲣᲐ ბარიკადზე მოკლეს; ᲠᲐᲣᲚᲠᲘᲒᲝ დაიჭირეს ᲖᲔ—ᲚᲣᲡᲐᲙᲘᲡ ᲭᲣᲩᲐᲖᲔ, წაიყვანეს ᲚᲣᲥᲡᲐᲛᲑᲣᲠᲘᲡ ბაღში და იქ დახვრიტეს; ᲙᲣᲠᲑᲔ დაიჭირეს, მაგრამ დახვრეტამდი თავის მოწამვლა მოასწრო. ᲐᲛᲐᲗ გარდა დაუხვრეტიათ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ შემდეგი მომხრეები: მელიე, ᲚᲐ-ᲡᲔᲡᲘᲚᲘᲐ, ᲓᲭᲣᲠᲐᲜ, ᲚᲔᲭᲠᲐᲜᲡᲔ, ᲐᲛᲣᲠᲣ, ᲖᲘᲚᲘᲐᲠᲘ და ბევრი სხვები. ᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ არიან: ᲐᲡᲡᲘ, ᲛᲔ. ᲙᲚᲣᲖᲠᲔ, ᲙᲚᲔᲛᲐᲜ, ᲛᲐᲚᲭᲣᲠᲜᲐᲚ, ᲠᲐᲜᲕᲘᲔ და სხვანი, რომელთაც. დახვრეტა თუ არა, სამუდამოთ დამწყვდევა მაინც მოელის. ᲓᲝᲛᲑᲠᲝᲕᲡᲙᲘᲖᲔ ზოგნი ამბობენ, მოკლულიაო, ზოგნი ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ გაიქცაო და ზოგნი კი ვითომ ის ᲞᲠᲣᲡᲘᲔᲚᲔᲑᲡ დაეჭიროთ და რუსის მმართებლობისთვის გადაეცესთ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ამ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ უბედურობაზე აი რას ამბობს ერთი ნემეცური გაზეთი: „ᲞᲐᲠᲘᲭᲘᲡ რევოლიუცია 18 მარტს დაიწყო, მაშასადამე ის იყო 11 კვირის განმავლობაში, ე. ი. იმის ნახევარ დროს, რამდენსაც ნემცები ერტყენ ᲞᲐᲠᲘᲭᲡ გარშემო. მაგრამ ყველა უბედურება და ზიანი, რაც ნემცებმა ᲞᲐᲠᲘᲭᲡ მიაყენეს, სულ არაფრათ არ ჩავარდება ახლანდელ უბედურებასთან შედარებით. ᲧᲕᲔᲚᲐ ეს უბედურება და ᲞᲐᲠᲘᲭᲘᲡ აოხრება მარტო ინსურგენტებს არ მიეწერება: ამაში ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ მმართებლობამაც მიიღო მონაწილეობა, რომლის არტილერიას და საზოგადოთ სხვა ჯარებს გამარჯვების მოსაპოებლათ არაფერი არ დაუზოგავთ“.

რაც შეეხება მმართებლობის განწესებას, ახლა ყველანი ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, რომ ᲐᲛ სისხლის ღერის და რესპუბლიკელების ამოჟლეტის შემდეგ, უთუოთ დიქტატურა ან მონარხია დაფუძნდებაო. ᲐᲮᲚᲐᲪ მაკ-მაჰონი და ᲤᲘᲔᲠᲘ როგორც დიქტატორი, როგორც განუკითხავი თვით-მპყრობელი უფლებისა, ისე იქცევიან თურმე. სხვათა შორის ამათ გამოუცია ბრძანება, რომ, სანამ მშვიდობიანობა სრულებით არ დამკვიდრდება ᲞᲐᲠᲘᲭᲨᲘ, მანამ არც ერთ გაზეთს არა აქვს გამოსვლის ნებაო.

— ᲤᲘᲔᲠᲘᲡ სამინისტროში ზოგიერთი ცვლილება მოხდა: ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲚᲔᲭᲠᲐᲜ შინაგანი საქმეების მინისტრათ დაუნიშნავთ, ᲞᲘᲙᲐᲠᲘᲡ ადგილას, რომლისთვისაც საფრანგეთის ბანკის უფროსობა მიუნდვიათ; სამხედრო მინისტრი, ᲚᲔᲭᲚᲝ, ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ გაუწესებიათ საფრანგეთის ელჩათ, და მის ალაგზე

სამხედრო მინისტრათ ღენერალი სესე დაუნიშნავთ. ᲫᲣᲚ ᲤᲐᲕᲠᲘᲡᲐᲪ უნდოდა თურმე გარეშე საქმეების მინისტრის ადგილის დატოვება. მაგრამ, ტიერის თხოვნით, ისევ დარჩენილა თავის ადგილზე.

— პარიჟის ბირჟას 30 მაისიდამ ისევ დაუწყია მოქმედება.

— 23 მაისს იწერება ერთი ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘᲡ კორრესპონდენტი, რომ დღეს გაუწყნარებლევ მოჰყავთ აქ პარიჟში დატუსალებული ინსურგენტებიო, რომლებ'შიაც ბევრი ქალებიც ურევიანო. სხვათა შორის დაჭერილებში იყო თურმე ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც პატარა ბავშვი ეჭირა ხელში და ზედ დასტიროდა.

— ᲔᲠᲗᲝᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ სხდომაზე ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲨᲘ ᲕᲐᲜᲓᲝᲛᲘᲡ კალონის ხელახლავ აღდგენაზე იყო მოლაპარაკება. სხვათა შორის ამ სხდომაზე ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ სეკრეტარმა, ᲙᲝᲜᲢᲘᲛ, სთქვა, რომ საფრანგეთისთვის სირცხვილი იქნება, ვანდომის კალონაზე რომ ისევ ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜ მესამის ძეგლი არ დასდგეთო. ᲐᲛ წინადადების წინააღმდეგ ახლა მხოლოთ რამდენთამე დეპუტატთა სთქვეს ორიოდე სიტყვა. ᲐᲓᲠᲔ კი, როდესაც ერთს სხდომაზე ᲙᲝᲜᲢᲘᲛ ᲜᲐ�პᲝᲚᲔᲝᲜᲘᲡ გამართლება მოინდომა, მთელი ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ გაბრაზებული წამოდგა ზეზე და ხმა ჩააწყვეტინა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ, 26 მაისს, ᲚᲝᲠᲓ ᲔᲚᲮᲝᲛ ჰკითხა მმართებლობას—როგორ მოეპყრობა ის პარიჟიდამ გამოქცეულ ინსურგენტებს: გარდასცემს იქაურ მმართებლობას, თუ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ თავის შეფარვის ნებას მისცემს? მმართებლობის სეკრეტარმა—ᲑᲠᲘᲣᲡᲛᲐ—გაახსენა პარლამენტს იმისგანვე დაწესებული კანონი, რომლის ძალით ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მმართებლობამ არ უნდა გასცეს სახელმწიფო საქმეებში დამნაშავე უცხო-ქვეყნელები. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ მმართებლობა, სთქვა ᲑᲠᲘᲣᲡᲛ, მხოლოთ იმ შემთხვევაში გადასცემს ᲢᲘᲔᲠᲡ ᲞᲐᲠᲘᲯᲘᲡ ᲘᲜᲡᲣᲠᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, რომელნიც ამ ჟამად ჩვენში სცხოვრებენ, როდესაც ცხადათ დამტკიცდება, რომ იმათ დანაშაულობას სისხლის სამართლის ხასიათი აქვს და არა მხოლოთ პოლიტიკური.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

შვეიცარიის კავშირის მმართებლობამაც სწორეთ ამ ნაირივე გადაწყვეტილება დასდვა ამ საქმის თაობაზე. იმან გადაწყვიტა, რომ ამ თავით არ შეიძლება ესთქვათ, რომელ დამნაშავეს გადაესცემთ ჩვენ საფრანგეთის მმართებლობას და რომელს არაო, რადგან პოლიტიკური დამნაშავეების გადაცემა ჩვენი კანონებით აღკრძალულიაო.

— ᲨᲔᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ რჩევამ დასდვა კანონათ, რომ დღეის შემდეგ ᲫᲫᲘᲛᲔ დამნაშავეების სიკვდილით დასჯა მოსპობილი უნდა იყოსო.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ სენატმა გადასწყვიტა ამას წინეთ, რომ რაც ჩვენში პარიჟიდამ გამოქცეული კომუნის მომხრეები მოვლენ, ყველანი უნდა დავიჭიროთ და საფრანგეთის მმართებლობას გადავსცეთო. ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣ�გᲝᲛ ამის თაობაზე ერთს ბელგიურს გაზეთში მისწერა წიგნი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ თუმც ის სრულიად არ თანაუგრძნობს ზოგიერთ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ მოქმედებას, მაგრამ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ სენატი ამ საქმეში ძალიან სასტიკათ და უკანონოთ მოქცევას აპირებს, რადგან იმას ჰსურს გადასცეს საფრანგეთის მმართებლობას დასახვრეტათ ისეთი პირები, რომელნიც მხოლოთ პოლიტიკურ საქმეებში არიან დამნაშავენიო. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲰᲘᲣᲗᲝᲛ გამოაცხადა, რომ, თუ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ მმართებლობა არ დააყენებს პარიჟის ინსურგენტებს, მაშინ მე მივიღებ იმათ ჩემ სახლშიო (თვითონ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝᲛ ამ ჟამად ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ საბანტო ქალაქში—ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ—ცხოვრებს). ᲔᲡ წიგნი ისე არ მოეწონა ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ მმართებლობას, რომ იქაურმა გარეშე საქმეებიის მინისტრმა, ᲓᲐᲜᲔᲗᲐᲜᲛᲐ, წინადადება შეიტანა სენატში, რომ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝᲛ გავაგდოთ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲜ. სენატი ამაზე არ დათანახმებულა და თვითონ კოროლს მიუცია ბრძანება, რომ ᲰᲘᲣᲗᲝᲛ ახლავ გავიდეს ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲜ.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲛ უკანასკნელ დროს ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ საკავშირო რეიხსტაღში დიდხანს იყო მოლაპარაკება იმაზე—როგორი მმართებლობა უნდა განწესდეს, ან რომელ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ სიხელმწიფოს უნდა ექვემდებარებოდეს საფრანგეთისაგან წართმეული ორი პროვინცია: ᲔᲚᲖᲐᲡᲘ და ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲘᲐ. ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲡ რეიხსტაღმა გადაწყვიტა, რომ ეს ორი პროვინცია პრუსიას უნდა შეუერთდეს და პირდაპირ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ იმპერატორის ხელქვეით უნდა იყოს და ყველა იმის საქმეებს საკავშირო კანცლერი (თ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘ) უნდა განაგებდესო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება უწინააღმდეგოთ არ დაუდვიათ. სხვათა შორის არც ერთი პოლშელი დეპუტატი ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ რეიხსტაღისა არ დათანხმებულა ამაზე; ერთ იმათგანმა, ᲢᲐᲩᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲛ, აი რა სთქვა ამ საქმის თაობაზე:

„ᲩᲕᲔᲜ წინააღმდეგი ვართ ამ ნაირათ ᲔᲚᲖᲐᲡᲘᲡᲐ და ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲘᲘᲡ ბედის გადაწვეტილებაზე, იმიტომ რომ ეს გადაწყვეტილება არღვევს და უარჰყოფს ყოველი ხალხის უფლებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არავის არა აქვს ნება, თვითონ ხალხის დაუკითხავათ, ის ძალათ დაიპყროს. ᲔᲚᲖᲐᲡᲘᲡᲐ და ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲘᲘᲡ შესახებ პრუსიამ სწორეთ ასე მოიქცა: იმან არ ჰკითხა იქაურ ხალხს: ჰსურს იმას ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ შეერთება, თუ არა? ᲐᲛ შემთხვევაში მხოლოთ ძალა და დამპყრობელის უფლება მოქმედებდა და არა ხალხის სურვილი.“

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ამნაირათვე იოლაპარაკა ამ საქმის თაობაზე გამოჩენილმა ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ დემოკრატმა—ᲑᲔᲑᲔᲚᲛᲐ. იმან სთქვა, რომ ᲔᲚᲖᲐᲡᲘᲡᲐ და ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲘᲘᲡ ძალათ დაჭერა დიდი შეცდომილება და დანაშაულობა არის ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ მხრით. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲡ ნურასოდეს იმედი ნუ ექნება, რომ ᲔᲚᲖᲐᲡᲔᲚᲔᲑᲨᲘ და ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲔᲚᲔᲑᲨᲘ, რომელნიც ნამდვილი რესპუბლიკელები არიან, როდესმე მონარხიული გრძნობა და რწმუნებები ჩანერგოსო.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

ᲡᲐᲜᲥᲢᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ ᲔᲛᲡᲨᲘ მიბრძანდა.

ᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ. ᲙᲠᲔᲛᲘᲘᲗ შეიტანა ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ წინადადება, რომ 450 მილიონი ახალი ხარჯი დავადვათ ხალხსაო.

ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ. 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲗᲓᲐᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ საბანტო ქალაქათ ᲠᲝᲛᲘ შეიქნება.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

მაისის 15-ს სახელმწიფო რჩევაში ახალ სასწავლებლის პროექტზე ყოფილა მოლაპარაკება. „ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡ“ გაუგონია, რომ ამ რჩევაზე 19 წევრს სახალხო სამინისტროს პროექტის მხარე დაუჭერია და 29-ს კი უთქვამთ, რომ უფრო მომეტებული რეალური გიმნაზიები უნდა გაიხსნასო და ამ გიმნაზიებში კურს—შესრულებულ ყმაწვილ კაცებს, როგორათაც კლასიკური გიმნაზიებიდამაც, უნივერსიტეტში შესვლის ნება უნდა მიენიჭითო. (მკითხველმა იცის, რომ სამინისტროს პროექტით, რეალურ გიმნაზიებში კურს—შესრულებულებს მხოლოთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის უფლება უნდა ჰქონოდათ და უნივერსიტეტში კი არა).

***

მაისის 14-ს მოსკოვში იყო უკანასკნელი კრება იქაური „მომხმარებელ საზოდგადოების“ წევრებისა. ᲐᲛ კრებაზე მარტო 40 წევრი დაესწრო (სულ კი 1,200 წევრები ჰყავდა საზოგადოებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ᲩᲐᲛᲝᲡᲪᲘᲚᲓᲔᲜ). კრებამ თითქმის ერთ—ხმით გადაწყვიტა, რომ დავშალოთ ჩვენი საზოგადოებაო. ᲐᲛᲘᲡ შემდეგ საზოგადოებამ თავმჯდომარეს — უფ. სჩეპკინის—წინადადებით, რაც იმას საშუალება და ფულები ჰქონდა, გადასცა მოსკოვის ეროობას—ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ საგლეხ-კაცო ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ გასახსნელათ.

***

ᲐᲛ მოკლე ხანში ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ორი საზოგადოება სდგება: ერთს ჰსურს ამ ქალაქში რიგიანი „საყმაწვილო ბალი“ გამართოს, რომელშიაც ბავშვებს რიგიან თამაშობაში და თან სწავლაში შეეძლოთ დროს გატარება, და მეორეს ჰსურს თავის ხარჯით რამდენიმე გასაქირავებელი სახლები ააშენოს ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ და გაიაფოს სადგომები, რადგან ამ უკანასკნელ დროს იქ ერთობ გაძვირებულა სახლები.

***

ᲐᲛ ჟამად ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘᲡ უნივერსიტეტში და სხვაგანაც ათზე მეტი რუსის ქალი სწავლობს სხვა და სხვა საგნებს და განსაკუთრებით ექიმობას. ᲐᲛ ახლო ხანს სხვათა შორის ერთ რუსის ქალს ᲙᲔᲜᲘᲒᲡᲑᲔᲠᲒᲘᲡ უნივერსიტეტში მიუცია მიღების თხოვნა და უნივერსიტეტს დიდის კმაყოფილებით მიუღია ეს ქალი სტუდენტათ.

***

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ „ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ „ᲠᲣᲡᲐᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ“ შემდეგ ამბავს იწერება რუსის ემიგრანტებზე, რომელთაც ამ ჟამად ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ გაუკეთებიათ თავის ბუდე:

„ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ ცხოვრებს ახლა სამი ემიგრანტი: ᲜᲔᲩᲐᲔᲕᲘ, ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲔᲜᲜᲘᲙᲝᲕᲘ და ᲔᲚᲞᲘᲓᲘᲜᲘ, რომელთაც რუსის ემიგრანტების წინამძღოლელათ მიაჩნიათ თავის თავი. ᲘᲡᲘᲜᲘ სცემენ ერთ პატარა გაზეთს, სახელათ „Община“, რომლისაც ჯერ-ჯერობით მხოლოთ ორი ნომერი გამოსულა. ᲐᲛᲐᲗ გარდა იქ მისულა აგრეთვე, როგორც ამბობენ, ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ, რომელიც იმ დროს, როდესაც ᲞᲐᲠᲘᲯᲘᲡ ᲜᲔᲛᲪᲔᲑᲘ გარს ეხვიენ, ამ ქალაქში იყო, არტილერიაში მსახურებდა და ᲢᲠᲝᲨᲣᲡ დაახლოებული პირი იყო.“ ᲐᲛ უკანასკნელზე „ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ“ ამბობენ, მართალია, ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲘ ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ სცხოვრებდა იმ დროსაო, მაგრამ საფრანგეთის, ჯარში კი სრულიად არ მსახურებდაო; როგორც სხვა უცხო ქვეყნელებს, ᲚᲐᲕᲠᲝᲕᲡᲐᲪ თეთრი ჯვარი ეკერა სახელოზე, ე. ი. ომში დაჭრილების მზრუნველ საზოგადოებაში იყო ჩარიცხულიო.

***

„ᲠᲣᲡᲘᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ სწერენ, მინისტრების კამიტეტში ამ მოკლე ხანს ქალების უმაღლეს სწავლაზედ და საზოგადოთ ქალების განათლებაზე იქნება მოლაპარაკებაო.

ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ

ᲜᲐᲗᲚᲘᲐ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ ᲐᲣᲔᲠᲑᲐᲮᲘᲡᲐ

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ)

V

ᲝᲗᲐᲮᲨᲘ რომ შეეიდა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ და თავის წაღებს შეხედა, ძალიან გაკვირდა.

— ᲔᲐ! რაღაც ამბავია ჩემ თავს, სთქვა იმან.

— მე მინდა გითხრათ რამე, წამოიძახა ᲤᲠᲘᲪᲛᲐ.

— თუ ეგ რამე შენს ბატონებზეა, არ მინდა გავიგონო. ᲪᲣᲓᲘ ᲬᲜᲔ გჭირს უცხოებთან შენს ბატონებზედ ლაპარაკი.

— ᲔᲡ რამე შენზეა.

— ᲮᲔᲓᲐᲛ! ᲩᲔᲛᲖᲔᲓ? მაშ თქვი.

— მაშ ჯერ მომეცი სიტყა, რომ არ გამცემ.

— რადგანაც აგრეა, სულაც არა მსურს, რომ გავიგო: მე ჩემ სიტყვას ქარს არ ვაძლევ და არც ვყიდულობ თევზს წყალში.

— მაშ კარგი, ისეც ვიცი, რომ არ გამცემ; აი რა უნდა გითხრა: უფ. მაიორშა ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ შინიდგან კარზედ არ გაგიშვას, მინამ აქა ხარ.

— ᲮᲔᲓᲐᲛ! ᲔᲒ შენ სწორეთ იცი?

— ᲓᲘᲐᲮ, სწორეთ. მაგრამ არ მესმის, რა სურს იმას მაგითი; დასარწმუნებელად ამისა არიან შენი ჩექმები. ᲮᲐᲠᲐᲖᲛᲐ თქვა, რომ ეისმე ძალათ დანით დაუჭრიაო; მე უთხარი მაიორშას მეტი მაგას არავინ იქმოდა მეთქი. სისხლი აუდუღდა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲡ: ის გრძნობდა რისთვის არ უშვებენ. ᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲐᲗ. მაგრამ ყველაზედ წინათ ეს ჰაზრი მოუვიდა თავში: რა სატანჯელში უნდა იყვეს ყმაწვილი ცოლი? როგორ უნდა იტანჯებოდეს ისა, რომ არ არის კეთილშობილთაგანი (აზნაურთაგანი)? როგორათაც გაცოფებული მხეცი, ისე დარბოდა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ თავის ოთახში. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ შინჯამდა: საათს, ლუსტრას, ჩაშკებს; პოლი ირყეოდა იმისის სიარულით. ᲬᲐᲛᲝᲐᲕᲚᲝ ხელი თავის ჯოხს, რომელიც კუნჭულში ეყუდა, უნდოდა ყველაფერი დაელეწნა, დაემტვრია; დაე, იმათ ნახონ, რა შეუძლიან იმ კაცს, რომელსაც უპატიურობას აყენებენ—ყველას განადგურება....მაგრამ ისინი ხომ მართალნი გამოვლენ, ხომ იტყვიან: შეხე იმ ყასაბს! დიდი უბედურება არ არის ამ გვარი კაცის ნათესაობა! ᲬᲐᲕᲐᲮᲓᲘᲜᲔ ნათლობა! ᲓᲘᲐᲮ, ᲔᲡᲔᲜᲘ არიან დიდკაცნი: ჩუმათ, ნელნელა მოკვლა კაცისა იმათ ენაზე ნიშნავს—დარბაისლობას. მოითმინეთ, დიდნო ნაყარტლნო, მამხედებით როდისმე ხელში!

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ დაინახა თავისი სახე სარკეში, უცევ გაიცინა: არა, ჩვენ სხვანაირად მოვექცევით, რა ჭკუაა, ჩვენისავე ფულით ნაყიდი ჩვენვე დავამტვრიოთ!

— მე თქვენ გაჩვენებთ, მოითმინეთ!

ᲕᲐᲚᲔᲮᲢᲘᲜᲡ დიუძახეს,—პასტორი მოვიდაო. ᲘᲡ ჯერ არ გამოხულიყო როტმისტრისაგან და მაიორშამ მიიღო ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ ალერსიანათ, მაგრამ იმის სახემ მაიორშა შეაშინა; ამ სახეზე ეწერა: ო, თქვე ცრუებო! მოიცადეთ, ჩვენ თქვენისთანებისთვის მიგვიცია პასუხი!

— ᲗᲥᲕᲔᲜ როგორღაც მოღუშული ხართ დაიწყო მაიორშამ და გაიღიმა. ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲛᲐ არცკი აღირსა იმას პასუხი.—ᲓᲐᲔ პატარახანს იყბედოს, მე მინამ მოვიფიქრებ, რომლის მხრით მიუდგე. მაგრამ მაიორშა მაინც ლაპარაკობდა. ᲘᲛᲐᲜ ჩამოაგდო საუბარი სარწმუნოებაზე, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ სარწმუნოებას შეუძლიან გიუნათლებელი ხალხის მოტეხა.

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ კბილებს აკრაჭუნებდა და ფიქრობდა: ჩამოვიდეს მაინც ის მფლობელი ცისა და ქვეყნის და ამოაძროს ეს ცრუ მოლაპარაკე ენა პირიდგან! როგორ ჰბედავს ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲖᲔᲓ ლაპარაკს? ᲗᲐᲕᲨᲘ ხომ სულელური მედიდურობის მეტი არა უძევსრა!

ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ჩუმათ ყოფნა მაიორშას გულს ეცა: გულხელი დაიკრიფა; ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ ყურადღებით შინჯამდა იმის თითებს: „ფრჩხილების მაგივრათ ბრჭყალები ჰქონია როგორც ეშმაკს, ევრეც უნდა იყოს“—ფიქრობდა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ.

ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲓᲐ სიჩუმე; ბოლოს მაიორშამ ჰკითხა:

— როგორ მოგწონთ ამ ოთახის მოწყობილობა?

— ძალიან კარგათ არის მორთული. მადლობა ღმერთსა, რომ ჩემს ძმას ჰქონდა შეძლება და იმის ქალს შეეძლო ამის შეძინება!

მაიორშამ ამ გვარ მჭრელ სიტყვებზე არა უპასუხარა. მარტო ტუჩები მოკუმა. „მოვარტყი!“ ფიქრობდა ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲘ. მაიორშა იმის წინ იდგა მედიდურათ; უცქეროდა თავის დიდის თვალებით და არას ეუბნებოდა. ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜᲛᲐ ძირს ჩაიცქირა და ბოლოს წამოიძახა:

— ᲣᲤ. რძალუაე!

— მაიორშავ ჭონ ქრანიხბერგ! მოსძახა მაიორშამ, მაგრამ ტუჩები უთახთახებდა.

— როგორც გენებოს: უფ. მაიორშავ ჭონ ქრანიხბერგ, არ იფიქროთ, რომ მე ვაფასებდე კაცებს ფულებით, ჩემთვინ სულ ერთია მდიდარი და ღარიბი: დაბადებითვე ჩვენ არა მოგვყოლიარა.

— მე ეგრე არ ვფიქრობ; არიან ხალხნი, რომელთაც მოაქვთ თან სახელი, რომლის ყიდვაც არ შეიძლება. თავის დაჭერა და მჭრე სიტყვები მაიორშასი ვერ ეჭაშნიკა ვალენტინს, ის გრჩნობდა ამას და ორთავენი, როგორათაც დამზადებულნი მებრძოლნი, ისე ეძებდნენ იმ მხარეს, რომლიდგანაც მარჯვეთ შეიძლება თავს დაცემა, და ორთავეს ეშინოდათ.

ამ დროს პასტორი შემოვიდა ბოდიშის თხოვნით. იმან სთხოვა ვალენტინს აცნობოს რამე თავის გარდაცვალებულს ძმაზედ; ის რიგიანად ჰპოებდა, ამ გვარ სახლობის დღესასწაულს დღეს, ყველა იმ სახლობის დაახლოებულის ნათესავის მოგონებასა, მეტადრე მიცვალებულებისას, მაგრამ არა სურდა ამ გვარი კითხვით მიმართვა ახალგაზდა დედისათვის.

— ტყუილათ! ადელგაიდა ღონიერი და ჯანოვანია; გარდა ამისა არასდროს არ არიან მავნებელნი ცრემლნი მიცვალებულის მშობლების სულისათვის დაღვრილნი. არა უშავსრა, თუ რომ ერთხელ კიდევ იტირებს იმაზედ, რომ ისინი აღარ არიან.

VI

ვალენტინმა დაიწყო ლაპარაკი ძმაზედ. ჯერ მშვიდობიანათ ლაპარაკობდა, მაგრამ მალე ხმა შესცვალა და თვალები ცრემლებით აევსო, როდესაც იმან დაიწყო, როგორი პატიოსანი კაცი იყო ის და იმის სიკვდილით როგორ მოშორდა საუკეთესო სულდგმულს თავის ცხოვრებაში.

— დიახ, უფ. პასტორო, ესეა: ხომ ყველაზედ უკეთესი ცხოვრებაში—მოგონებაა თავის სიყმაწვილისა, და როდესაც მე ვიგონებ ჩემ ყმაწვილობას, ჩემი ძმა ყველგან და ყოველთვის თვალ წინ მიდგას. ის მოკვდა; ახლა აღარავის არ შემიძლიან გაუყო ჩემი მოგონებანი. მე მხოლოდ ერთი წლით ვიყავი იმაზედ დიდი; თორმეტ წლიმდინ ერთ ლოგინში ვიწექით; ერთ სტოლზედ ვამზადებდით ჩვენ დასსა, ერთნაირად გვეცვა და ვაშლს არ შევჭამდით ისე, რომ არ გაგვეყო ერთმანეერთისათვის. და ასე ვცხოვრობდით ყოველთვის გარდა იმ წლებისა, როდესაც დავდიოდით სამგზავროთ. მერე ჩვენ შევირთეთ ორნი დები. ჩემი ძმა იყო გამოჩენილი კაცი, მე იმის ნახევარი ჭკუაც არა მაქვს. აჰასთანავე ის კეთილი იყო, ჩემზედ კეთილი, მამა ყარიბთა, მშვიდობის ჩამომგდები, ისეთი პატიოსანი, რომელსაც ჩვენ „პატიოსანს მოქალაქეს“ ვეძახით.

ვალენტინს ხმა ჩაუწყდა და ველარ შესძლო განგრძელება.

პასტორი ნუგეშს აძლევდა, მაიორშამ მიიფარა თვალებზედ ხელსახოცი. ვალენტინმა კბილების კრაჭუნით შებღვირა იმას; და ბოლოს სთქვა:

— მე უნდა წავიდე!

— ჩემს ძმის-წულს სურდა თქვენთან მოლაპარაკება, უთხრა მაიორშამ, თვალებზედ ხელსახოცს მიფარებულმა; მივიდა კარებთან და დაუძახა:

— ჟურტ! აქ მოდი.

— სახელზედ რას იტყვით, რა სახელი დავარქვათ? ჰკითხა პასტორმა.

როტმისტრმა უპასუხა, რომ, რადგანაც იმასა ჰქვია თავის მამის სახელი, ამისათვის დაე, მეორე სახელი ახალ-დაბადებულისა იყოს მიცვალებული სიმამრისა.

— ძალიან კარგი: ივანე! თქვა ვალენტინმა და გულიდგან გადეყარა.

— მხოლოდ, მე გთხოვთ, მაგ სახელის ცოტათი შეცვლას:—ბანსი იყოს იმისი სახელი; ხომ სულ ერთია.

— თუ რომ სულ ერთია, მაშ რაღა საჭიროა გადაცვლა?

— ამიტომა რომ, აუხსნა ძალუამ, ბანსი უფრო მოზდის ჩვენს სახლობას.

— ხედამ! მაშ ბანსი გამოჩენილს ნიშნამს რაღა? მე კი აქამდინ მეგონა, რომ ბანსებს მარტო სულელებს და მასხარებს უძახიან.

როტმისტრმა თვალით ანიშნა ძალუას, რომ ხმა არ გასცეს.

სტუმრებმა იწყეს კრება.

— თქვენ, უფ. ნათლიავ, უნდა წამოხვიდეთ ჩემთან ერთად სტუმრების მისაღებად,— უთხრა მაიორშამ და გაუშვირა თითების წვერები; მაგრამ ვალენტინმა არ ჩამოართვა; გაჭყვა კი.

— ნუ შეგეშინდებათ და ნურც შეკრთებით—აქეზებდა მაიორშა.

— არც არაფრის საშიშია.

წინაპირველათ მოვიდნენ აფიცრების ცოლები გამოპრანჭულები მდიდრულის ტანისამოსით. არც ერთმა არ ინება დაჯდომა მდივანზედ. შექნეს სისინი ბატებსავით, რიგ-რიგად შედიოდნენ როტმისტრის ცოლის ოთახში, მისალოცავად. სტუმრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ, რადგანაც ქალაქში მხოლოდ ორი საქირაო კარეტა იყო.

მინამ სტუმრები შეიკრიბებოდნენ, ვალენტინი საჩქაროთ შევიდა თავის ძმისწულის ოთახში:

— ადელგაიდავ, მე შენთან სათხოვარი მაქვს, უთხრა იმან.

— სიხარულით შევასრულებ, რაც რომ გნებავდეს! რა, რა ამბავია? რათა ხარ ეგრე გაყვითლებული?

— მე გაყვითლებული ვარ? ეგრე გეჩვენება, შენი მწვანე ფანჯრების ფარდებისაგან. აი, ჩემი სათხოვარი: თუ გიყვარევარ, ნუ გამოხვალ დღეს შენის ოთახიდგან, ნუ გამოხვალ სტუმრებში ჩემის გულისათვის.

— რატომა?

— ხედამ, ჩემო პაწაწავ, როდესაც გეუბნები, თუ გიყვარვარ, მაშინ არა მსურს აგიხსნა მიზეზი. მამეცი ხელი! თუ გიყვარდე!

ადელგაიდამ გაუშვირა ხელი; ის ხელი კანკალებდა. ნუ თუ ბიძიამ იცის ძალუას ოინები?

ადელგაიდას შეტყობილი ჰქონდა და ის თრთოდა ეხლა და არ იცოდა, როგორ ეთქვა ბიძისათვის და როგორ დაეშოშმანებინა. რაღაც საოცარი წამოსდგებოდა მათ შუა; ორთავეს სურდათ ეთქვათ: შენც იცი? და ორთავე ჩუმათ იყვნენ.

ბიძიამ გაისწორა ყელსახვევი და გავიდა სტუმრებში.

VII

დიდრონი წვეთები ცრემლისა დაეცნენ მშვენიერს სახეზედ ყმარწვილსა, როდესაც ადელგაიდა აცმევდა მოსანათლავად. ნათლიობის წმინდა წყლამდინ დანამეს ის კაცთა ნათესავის უთანახმაობის ცრემლებმა....

მოვიდა მაიორშას შვილი, გრძელი, ქერა ლეიტენანტი, რომელიც მუდამ იეარცხნიდა თითებით წვერსა და მალვით იყურებოდა სარკეში. იმისმა ბიჭმა რაღაც შემოიტანა, შეხვეული სალფეთქში. გახსნეს და გაჰკვირდნენ: ის იყო ბალიში, გამოკერილი ბროსნიცების გერბით, ლეიტენანტის ხელით ნაწარმოები; ოსტატურად ჰკერავდა და ამითი კვეხულობდა. თავის თავის კმაყოფილი გაიღიმა იმან, როდესაც ვ ლენტინმა სთქვა: „ეხლა ეხედამ რითი იშორებენ მოწყენას თავიდგან ლეიტენანტები. ჩემი ცოლი არ დაიჯერებდა ამას. მაგრამ კარგია, ძალიან კარგი ხელ-საქმეა.“ ლეიტენანტმა ხუთივე თითი ჩაუშვა წვერში და გაიფიქრა: მაშ კარგი, ხომ შენ თითონვე იწყობ, მე შენ გადგიხდი.

— მე ხარის თავის გამოკერვაც შემიძლიან,—თქვა და თხასვეს ჩაიკიკინა.

ბოლოს სულ შეგროვდნენ და მდიდრულმა ტანსაცმელებმა ისე გაავსეს ოთახი, რომ ძლივსღა შეიძლებოდა მოტრიალება. ბაალეს ზალის კარები და მაიორშამ მისცა ვალენტინს ხელი, რომ ერთად ყმარწვილს წაჰყვნენ. იმან თვალები ძირს ჩაჰკიდა, რადგანაც თავის სიცოცხლეში ეს პირველი იყო ყასაბის მკლავის გაყრა და ერთად სიარული.

— ჩაიცვამდით მაინც ფერჩატკებს—უთხრა იმან—გაქვთ ფერჩატკები?

— დიახ, სრულებით ახლები და დაუტრეელები: წაღებსავით არ არიან ისინი დაჭრილები.

— მაიორშას ხელი აუკანკალდა: ნუ თუ ამ საშინელმა კაცმა ყველა იცის? ხომ ის იმის ხელშია, უცეფ რო მოუთხრას ეს ამბავი მთელს საზოგადოებას! მაგრამ ხომ ეს ისე გულ-კეთილია, ამას არა იქს...

ვალენტინმა ჩაიცვა თეთრი ფერჩატკები. ნათლობა გადიხადეს მშვიდობიანათ. ერთი ის არ მოეწონა მხოლოდ ვალენტინს, რომ იმ სტოლზედ გაშალეს სუფრა, რომელზედაც გადიხადეს მონათელის რიგი.

ვალენტინმა ნახა როგორ ჩუმათ და გრძნობით ელაპარაკებოდა პასტორი მაიორშას რაღაზედაც. ვალენტინი წარუდგინეს ყველა სტუმრებს, თვითოეულს ცალცალკე, როგორც უსტაბაში და არა ყასაბი, ასე რომ ბოლოს იმან უთხრა მაიორშას:

— მოითმინეთ, უფ. მაიორშავ, მე სრულებითაც არა ვარ უსტაბაში. ეგ, ისე მეტი ხელობაა, როგორიც უნდა იყოს სამხედრო წოდებაც, როდესაც რომ უპირველესი იმათი საქმე სხვა უნდა იყოს—თუნდ ბალიშების კერვა. მე მქვიან ვალენტინ და ვარ ყასაბი.

ვალენტინი კარგათა გრძნობდა, რომ ამ სიტყვებით წრეს გადადიოდა, მაგრამ მაინც აგრძელებდა ლაპარაკს, თითქო უკანიდგან აქეზებს ვინმეო! როდესაც გათავა, ნახა, რომ ყველა იქა მყოფთ სახე ჩამოეშვათ. „არა უშავს რა, იფიქრა ვალენტინმა. დაე, ამ ხალხს გოვია, გვაბედნიერებს თავის ორიოდ ალერსიანი სიტყვით!

(დასასრული შემდეგ №-ში)

თარგმ. მ. ხ—სა.

ნარევი

***

გამოჩენილი საფრანგეთის რევოლიუციონერი, ბუსტავ ფლურანსი, რომელმანც ნაპოლეონის დროს რამდენჯერმე არია ხალხი და რომელიც უკანასკნელ პარიჟის არეულობის დროს მოჰკლეს ვერსალის ჯარებმა, გამოჩენილი სწავლული იყო. 1863 წელს ის საფრანგეთის კოლეღიაში კითხულობდა ლექციებს და იმის ლექციებმა მაშინ დიდი ყურადღება მიიქციეს. 1864 წელს ბუსტავ ფლურანსმა გამოსცა წიგნი, სახელათ „მეცნიერება კაცზედ“. ამას გარდა იმან დასწერა რამდენიმე პოლიტიკური თხზულებები, რომლებში განსაკუთრებითი ყურადღების ღირსი „ბანთავისუფლებული პარიჟი“ არის. ბუსტავ ფლერანსი გამოჩენილი ბუნების მეცნიერის და სამეცნიერო აკადემიის წევრის შვილი იყო.

***

ერთს ამერიკულ გაზეთში სწერენ, რომ ნიუ-იორკში მიუტანიათ ერთი საშინელი დიდი ხე, რომელიც ხუთ კაცს ერთი თვის განმავლობაში ძლივს მოეჭრათ. ეს ხე ყოფილა სიმაღლით ორმოცდა სამი საჟენი და სიმსხოთი ხუთი საჟენი; გარდანაჭერი იმოდენაა თურმე, რომ თექვსმეტ წყვილ ქალ-კაცს თავისუფლათ შეუძლიანთ ზედ კადრილის თამაში და მუზიკის და მაყურებლების დასაყენებლათ კიდევ დარჩება ზედ თავისუფალი ალაგი. მნახველებს მოუნდომებიათ ამ ხის წლოვანობის შეტყობა; ორი ათას ხუთასი ბოლი დაუთვლიათ, და მერე კი მოსწყვენიათ და თავი დაუნებებიათ. (ხისწლოვანება შეიტყობა იმ რგვალი ბოლებით, რომელნიც პირ და პირ გადაჭრილ ხის ტოტზე ეტყობიან კარგათ სჩანან; რამდენი ამისთანა ბოლი აინდია ხეს, იმდენი წლისა არის).

***

ერთ ფინლანდიელ უბრალო გლეხს გამოუგონია ისეთი საათი, რომელიც, სეკუნდს, მინუტსა და საათს გარდა, რიცხვისა და თვის ანგარიშსაც უჩვენებს თურმე. ამას გარდა საათზე გამოხატულია მოძრავი ფიგურები, რომელნიც უჩვენებენ—როგორ გაჰყიდა იუდამ ქრისტე, როგორ აცვეს ის ჯვარს და როგორ ჩაასხეს იმას პირში ნაღველი და ძმარი. ამ საათის გამოგონებას და გაკეთებას ექვსი წელიწადი მოუნდა თურმე ეს ფინლანდიელი გლეხი.

***

მარშან ნოემბერში ერთი ხოლმანდი მიდიოდა თურმე ბალტიის ზღვიდამ ინგლისში და გზაზედ რაღაც ნაირათ წაუხდა ძირი და წყალმა საშინლათ დაიწყო დენა; ვერაფერის გზით ვერ შეაჩერეს თურმე წყალი და ბოლოს ყველამ იმედი დაწმინდა, რომ ხოლმანდს დასძირავს ღა ჩ ენც უნდა დავილუპოთო. შეცრათ წყლის დენა შესწყდა და რამდენიმე საათის შემდეგ ხოლმანდი თავისუფლათ მიადგა ნავსადგურს. ვერავის ვერ გაეგო რისგან მოხდა ეს. ბოლოს კაპიტანმა ძირი გაუსინჯა და ნახა, რომ იქ გაკვეტებულიყო დიდი თევზი, რომელსაც ამ ნაირათ გაეკავებინა წყლის დენა და ასზე მეტი კაცი დაეხსნა დადუპვისაგან.

***

ყველაზე უფრო პარიჟს, როცა იმას ნემცები შემოერტყენ გარშემო, ის აწუხებდა, რომ ქვეყნიერობის ამბავს სრულიად ვერაფერს ვერ ტყობულობდა. რამდენ საშუალებას არ მიმართეს, რამდენი რაკეტები არ მოიგონეს ამ დროს პარიჟში, მაგრამ მოკლე დეპეშებისა და წიგნების მეტი (ისიც ძალიან იშვიათად, მტრედების საშუალებით) არაფერი არ მოსდიოდათ. ბოლოს ერთი ისეთი საშუალება მონახეს, რომლის შემწეობით პარიჟელებს გამოჩენილი ინგლისის გაზეთის „ტაიმსის“—კითხვა ელირსათ. „ტაიმსი“ დღეში ორჯელ გამოდის, თითო იმის ნომერი უკანასკნელი „დროების“ ექვსი ნომრის ოდენაა. ყოველდღე, გამოვიდოდა თუ არა ეს გაზეთი, სადაც ყოველთვის ომის ამბები დაწვრილებით იყო აწერილი, იმ წამსვე ფოტოგრაფიით გადაიღებდენ ძალიან თხელ ქაღალდზედ ისეთი წვრილი ასოებით, რომ კაცის თვალი ერთ ასოსაც ვერ შენიშნავდა. მთელი ნომერი ერთ ხელის გულის ოდენა თხელ ქაღალდზე ეტეოდა. ამ ნაირათ გადაღებულ „ტაიმსს“ ლონდონიდამ ფოჩტით ბორდოში გზავნიდენ და ბორდოდამ გაჩვეულ მტრედებს იმოაკრავდენ ფრთებში და პარიჟისაკენ უშვებდენ. ახლა წაკითხვა: მიუვიდოდა თუ არა პარიჟის მმართებლობას გაზეთი, იმ წამსვე მიჰქონდათ რატუშაში, სადაც, მზის მიკროსკოპის საშუალებით, ისე ადიდებდენ თურმე ამ უხილავ ასოებს, რომ რამდენსამე კაცს ერთად შეეძლო შორიდამ კითხვა გაზეთისა. აქვე, რატუშაში, ისხდენ პარიჟის გაზეთების სტენოგრაფები, რომელნიც გადაიწერდნენ „ტაიმსის“ ამბებს და ამ ნაირათ მიღებული ცნობები მეორე დღეს მთელ პარიჟს მოიკითხავდა.

***

ამ ჟამად ინგლისის დედა-ქალაქს, ლონდონში, სცხოვრობს სამი მილიონი და ორასს ორმოცდა თორმეტი ათასი სული. 1861 წელს აქეთ ლონდონს თითქმის ნახევარი მილიონი მცხოვრებლები მოემატა.

***

ვენის გაზეთებში სწერენ, რომ სპარსეთის შაჰი მაისის 20-ს ხოლერით გამხდარა ავათ.

გამოვიდა და უკიგდება ხელის—მომწერლებს

„კრებული“

მეოთხე წიგნი

შინაარსი: მელაღუმე, ძველი და ახალი ამბები—ნ. სკანდელისა.

*** (ლექსი) . . ***-სა.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველის-ძველათ . . . ბ. ბოლისელისა.

მიბაძვა ლეონესადმი . . . ***-სა.

ინგლისზე (ლეონესი) . . . ნათ. ალ. ნიკოლაძისა.

რა დაუკარგავთ ქალებსა და რას დაეძებენ ისინი? . . . ს. მესხისა.

ვოლტერის თქმული (ლექსი) ნათ. ალ. ჭავჭავაძისა.

„ვარდის“ ხმაზედ . . . . აკ. წერეთლისა.

შინელი (ბოგოლისა) ნათ. ი. მ—სა.

ორი ლექსი დობროლიუბოვიდამ . . . ნათ. თომა ქარგარეთელისა.

ფ ე ლ ტ ო ნ ი—ფიქრი ლიხის მთაზე ნ. სკანდელისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюня, 1871 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.